პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 31-ე წელი

სამშაბათი, 7 ნოემბერი, 1950 წ. № 250 (8810). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXIII წლისთავს!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

★ ★

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ადმირალი იუმაშევი

★ ★

ბრძანება

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა

№ 125

1950 წლის 7 ნოემბერი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ხვდებიან შესანიშნავი გამარჯვებებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. ბოლშევიკური პარტიისა და თავისი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია აღფრთოვანებით აბორიელებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სტალინურ პროგრამას.

საბჭოთა მეომრები, ისე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს ეგებებიან სიამაყით თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის, მისი ახალი შესანიშნავი წარმატებებისა და მიღწევებისათვის, რომლებიც ცხადყოფენ სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე.

გასული წლის მანძილზე საბჭოთა არმიამ სერიოზული წარმატებანი მოიპოვა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. ჩვენი არმია მტკიცედ დარაზმულია სახელოვანი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

საბჭოთა ხალხი და მისი არმია ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მშვიდობის მტრების ზრიკეებს და მუდამ ახლოვთ ომის საფრთხე.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ახორციელებენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების პოლიტიკას. ომის თავშეშფოთებული გაჩაღებლებები ახლა გადავიდნენ აგრესიის პირდაპირ აქტებზე და სისხლისმღვრელი ინტერვენცია დაიწყეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

იმპერიალისტებს აგრესორებს უპირველესად მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება. სსრ კავშირის ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკა და მტკიცე ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობისა და თანაშრომლობისათვის მთელი მოწინავე კაცობრიობის სულ უფრო მეტ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას პოულობს.

საბჭოთა არმის წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანები — ფხიზლად დაიცვას მოპოვებული მშვიდობა, ჩვენი სამშობლოს საზღვრები და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა.

საბჭოთა მეომრებმა ახალ-ახალი წარმატება უნდა მოიპოვონ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, განუწყვეტლივ აძლიერონ ჩვენი ჯარების სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა.

საბჭოთა ხალხს შეუძლია მტკიცედ იყოს დარწმუნებული, რომ ჩვენი არმია, რომელიც უსაზღვროდ ერთგული თავისი სოციალისტური სამშობლოსი, კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ სტალინის, მომავალშიც სიამეღიდან დაიცავს დიდი ოქტომბრის მონაპოვარი.

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს!

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად

ბრძანებს:

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გვირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში—მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალვით.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც საბჭოთა არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენი ჯარების გამარჯვების ხელისჩამდგმელსა და ორგანიზატორს—ჩვენს საყვარელ ბელადს, ბრძენ მასწავლებელსა და გენიალურ მხედართმთავარს დიდ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი

ბრძანება

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა

№ 86

1950 წლის 7 ნოემბერი ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, ამ დიდ დღესასწაულს აღნიშნავენ დიდი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის ყველ დარგში. მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა, უფრო განმტკიცდა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალიერება, იზრდება საბჭოთა ადამიანების კულტურა და კეთილდღეობა.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები, ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებს, ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრებს საგუშაგოზე და დიდი ოქტომბრის 33-ე წლისთავს ეგებებიან ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ჩვენი საბჭოთა მთავრობა ახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას. იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობა.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ეწევიან ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების პოლიტიკას. ომის მუქარიდან ისინი გადავიდნენ აშკარა აგრესიაზე კორეაში.

ამ პირობებში სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის წმიდა ვალია მუდამ აძლიერებდეს ფლოტის ხომალდებისა და ნაწილების სიფხიზლეს და საბრძოლო მზადყოფნას, მტკიცედ ეუფლებოდეს სამხედრო-საზღვაო საქმეს, განამტკიცებდეს სამხედრო დისციპლინას, ამრავლებდეს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა რიგებს.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს. დღესასწაულს და გისურვებთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯს!

გაუმარჯოს ჩვენ საბჭოთა ხალხს და მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინს, პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ადმირალი იუმაშევი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ა. აკუთინოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გრიგოლ პატმანოძე არუთინოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოტალინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 5 ნოემბერი.

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო ოსიებ ბესარიონის-ძეო!

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავისადმი, ჭეშტარიტ, გულთითად სალუმს გიძღვნის თქვენ, საბჭოთა ხალხის გენიალურ ბელადს და მასწავლებელს!

ბრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აღფრთოვანებით შრომობს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად.

გადაჭარბებული და შორს მოგალეგებელი მრეწველობის განვითარების ოთმდელი დონე. სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული სტალინური პროგრამა.

მშობლიური საბჭოთა მთავრობისა და თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მზრუნველ მამლობის გრძნობით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ დადგენილებებს ვოლგაზე, შუა აზიაში, უკრაინასა და ყირიმში მსოფლიოში უდიდესი მიღრეკილებრივაფლორებისა და სარწყავი სისტემების შენებლობის შესახებ. კომუნიზმის დიდი მშენებლობანი ახალი გამოხატულებაა თქვენი მუდმივი ზრუნვისა ჩვენი ქვეყნის საწარმო ძალების შემდგომი აღმავლობისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის.

დიდი წარმატებანია მიღწეული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენი მეცნიერები მთელ თავიანთ ძალას და ეოფნას აბმარენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ძვირფასო ოსიებ ბესარიონის-ძეო! თქვენ — მეცნიერების დიდი კრიტიკე — განუწყვეტლივ სრულიყოფთ და ამდიდრებთ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ძმლავრ იდეურ იარაღს—მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. თქვენმა გენიალურმა, ნაშრომებმა ენათმეცნიერების საკითხებზე ახალი შესანიშნავი განმა შეიტანეს მარქსისტ-ლენინიზმის სიუნჯეში, ფართო პერსპექტივები შეუქმნეს საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი აღფრთოვანებენ ხალხთა დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას დემოკრატიულ სიუფლებებზე მოპოვებულ ლეონინიანი ჩინელი ხალხი, რომელმაც მოიშორა უცხოელთა იმპერიალისტისა და გომინდანელთა ბრალის უღელი განელილ წელი ნერგანის დემოკრატიულ რესპუბლიკამ შემდგომ განმტკიცების ეტაპი იყო. დასავლეთის და აღმოსავლეთის ახალი მეზობლობით მშრომელი უსაზღვრო სოვკავშირის გრძნობით შემოკეკრებს თქვენ, მთელი პროგრესული კაცობრობის გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობაში.

სტოკოლმის მოწოდებაზე ხუთასი მილიონი ხელმოწერა მკაფიო მაჩვენებელია ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებისა — აღკვეთონ ახალი ომის ამერიკელ-ინგლისელი გაჩაღებელნი.

მთელი მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ამერიკელ აგრესორებს — ბერი კორეელი ხალხისა და აღმოსავლეთის კოლონიური ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჩამბრძოლნი.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

მოხარული ვარო მოგახსენოთ, რომ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაანალეს სოციალისტური შეჯიბრება, გადაჭარბებით შეასრულეს 1950 წლის ათი თვის გეგმა. ქალაქ მოსკოვის მშენებლებმა მტკიცედ ინრძოვან ინიასათვის, რომ განამდინონ თქვენს წინაშე ნაკისრი ვალდებულება—ვადამდე შეასრულონ სამინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ვიდამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურისა და კარტოფილის ჩაბარების გეგმა. წარმატებით ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა. კოლმეურნეობების გაძლიერებისა და პირველხარისხოვანი სამანქანო ტექნიკის ფართოდ გამოყენების შედეგად მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები პირობას გაძლევენ, იოსებ ბესარიონის-ძეო, რომ არ დაიშურებენ ძალსა და შრომას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნისტური საზოგადოების შენებლობისათვის.

მშობლიურო ამხანაგო სტალინ! სულით და გულით გისურვებთ მრავალ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ შრომას საბჭოთა ხალხის სამედნიეროდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ავანგარდს — ლენინ-სტალინის გმირულ პარტიას!

დიდება საბჭოთა ხალხსა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ და ბრძენ ბელადს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი

ნ. ა. ბულგანინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1950 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები დღესასწაულობენ ოცდამეცამეტე წლისთავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისას, რომლითაც დაიწყო ახალი ეპოქა, კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელთა განთავისუფლების ეპოქა.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია ჩვენი ხალხის უმაგალითო შემოქმედებითი ენერგია და ინიციატივა. საბჭოთა ადამიანებმა, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ცხადყვეს უმაგალითო გმირობა როგორც მშვიდობიან შრომაში, ისე თავისი სამშობლოს სამხედრო დაცვაში. საბჭოთა ხალხმა გადალახა სერიოზული სიძნელენი თავის გზაზე, მოკლე ისტორიულ ვადაში შექმნა საბჭოთა სოციალისტური წყობილება და ამჟამად მტკიცედ მიდის დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ჩვენი საბჭოთა წყობილება, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად წარმოიშვა, დიდ გარდამქმნელ გავლენას ახდენს მთელი მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე. ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოცხადებული პრინციპები აერთიანებენ ამჟამად სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრ ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. ჩვენ სამართლიანად აღვნიშნავთ ამას როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას.

მოვლენათა მთელმა მსვლელობამ დაადასტურა, რომ სწორია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კაპიტალიზმის გარდუვალი დაღუპვის შესახებ, რომელიც XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე თავისი განვითარების უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმის სტადიაში შევიდა. დადასტურდა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული დასკვნა, რომ მუშათა კლასი რევოლუციური მარქსისტული პარტიის მეთაურობით წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს დარაზმოს მშრომელები კაპიტალიზმისაგან განსათავისუფლებლად, იკისროს სახელმწიფო ხელმძღვანელობა საზოგადოებისადმი და განახორციელოს სოციალიზმის აშენების კეთილშობილური მიზანი. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილებით, რომელიც ერების ძმური თანამშრომლობის მაგალითს გვიჩვენებს, სხვა ქვეყნების ხალხები რწმუნდებიან სოციალიზმის უპირატესობაში კაპიტალიზმის წინაშე, მარქსიზმ-ლენინიზმის სისწორესა და სიცოცხლისუნარიანობაში.

ომისწინა 1940 წელთან შედარებით. ჩვენმა მრეწველობამ წარმოების ამ დონეს არა მარტო მიაღწია, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბა. როგორც ცნობილია, უკვე 1949 წლის მეოთხე კვარტალში საერთო პროდუქციის საშუალო თვიურმა გამოშვებამ 53 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა უფრო გადიდდა. მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონე 1950 წლის ათ თვეში გადაჭარბებულია 70 პროცენტით. **(ტაში).**

სამრეწველო წარმოების ზრდისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების მაღალი ტემპი უზრუნველყოფილია კაპიტალური მშენებლობის მნიშვნელოვანი მოცულობით. ომისშემდგომი ხუთწლედის გასულ პერიოდში აღდგენილი და კვლავ აგებულია ექვსი ათასამდე სამრეწველო საწარმო, წვრილ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა ჩაუთვლელად.

ომით დაზარალებული რაიონების მრეწველობა არათუ მთლიანად აღდგენილია, არამედ მნიშვნელოვნადაც გაფართოვდა ახალი და უფრო თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე.

წარმატებით ხორციელდება მძიმე მრეწველობის პირველ რიგში აღდგენისა და განვითარების ამოცანა.

გადაჭარბებით არის შესრულებული ხუთწლიანი გეგმის დავალებანი შავი მეტალურგიის განვითარების დარგში. ხუთწლიანი გეგმით 1950 წელს შავი ლითონი უნდა დამზადებულიყო 35 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. მიმდინარე წლის 10 თვეში შავი ლითონების წარმოებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა 44 პროცენტით, მათ შორის თუჯის გამოდნობამ 28 პროცენტით, ფოლადის გამოდნობამ 48 პროცენტით და ნაგლინის წარმოებამ 58 პროცენტით.

ამ შედეგების მისაღწევად ჩვენს მეტალურგებსა და მშენებლებს ცოტა მუშაობა როდი მოუხდათ. როგორც ცნობილია, ომის დროს სამხრეთის მეტალურგიული მრეწველობა მთლად დაინგრა. ახლა იგი მთლიანად აღდგენი-

I

საბჭოთა კავშირის ისტორიული წარმატებანი მისი შინაგანი განვითარების ხაზით

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდამეცამეტე წლისთავს საბჭოთა ხალხი ეგებება დიდი წარმატებებით პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მთავარი შედეგი, რომლითაც ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს შევხვდით, ის არის, რომ უფრო გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება. ომისშემდგომ წლებში არა მარტო საბჭოთა ადამიანებში, არამედ სხვა ქვეყნების მშრომელებშიც უფრო ამაღლდა ავტორიტეტი საბჭოთა ხელისუფლებისა — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლებისა, რომელიც თავისი ხალხის სრული ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს. ჩვენი საბჭოთა წყობილება უზრუნველყოფს ხალხის უფართოესი მასების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი შემოქმედებითი ძალების განვითარების საუკეთესო ფორმას წარმოადგენს. ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა კომუნისტური პარტია, რომლის პოლიტიკაც საბჭოთა ადამიანებს თავიანთ პოლიტიკად მიაჩნიათ და ამ პოლიტიკაში ხედავენ თავიანთი ინტერესების განხორციელებას. მსოფლიოში არ არის არც ერთი ბურჟუაზიული მთავრობა, რომლის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა ისეთივე მტკიცე და ურყევი იყოს, როგორც მტკიცე და ურყევია საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის მიერ მშვიდობია-

იყო, რომ ჩვენი მტრები ამაზე თავიანთ ანგარებითს ვარაუდს ამყარებდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საკუთარი ძალებით თავს ვერ დავაღწევდით ომისშემდგომ სიძნელეებს. მაგრამ მათი ვარაუდი უსაფუძვლო აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირმა პოვა ძალები და შესაძლებლობანი იმისათვის, რომ არა მარტო მოეშუშებინა ომით მიყენებული ჭრილობები, არამედ ამასთანავე მოეწყო მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მშრომელთა მატერია-

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი

ნ. ა. ბულგანინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1950 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება)

...ვამები. საცხოვრებელი სახლები ქალაქებში და სოფლებში ნელა შენდება და ჯერ კიდევ ძვირად ჯდება.

მთავრობა დიდ სახსრებს ხარჯავს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. ომისშემდგომ წლებში ჩვენს ქვეყანაში აღდგენილი და აგებულია ათასობით ახალი სკოლა, ბიბლიოთეკა, სა...

...წარმოები და მოქმედ საწარმოებში დანერგოს მოწინავე ტექნიკა.

ვოლგისგაღმა, სამხრეთ უკრაინისა და ყირიმის ჩრდილოეთი რაიონების, კასპიის ზღვისპირა და შუა აზიის უდაბნო და ნახევრადუდაბნო რაიონების მორწყვა და წყლით უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანას დამატებით მისცემს მილიონობით ფუთ ხორბალს, ბრინჯს, ბამბას და სხვა ტექნიკურ...

...ლო მოუღონ მშენებლობის ღირებულების შემცირების შესახებ მთავრობის დავალებათა დარღვევებს, უზრუნველყონ მშენებლობის ვადების გადაჭრით დაჩქარება, გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა და აღმოფხვრან ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან ჩამორჩენა.

ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებთან ბრძოლის სწორი და ნაცადი საშუალებაა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. პარტია გვასწავლის, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა, რაც საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა, გვეხმარება გადაჭრით აღმოვფხვრათ მოძველებული, დრომოჭმული და გზა გავუკაფოთ ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. ამიტომ კრიტიკა და თვითკრიტიკა უნდა გამოვიყენოთ არა ცალკე შემთხვევებში, არამედ განუწყვეტლივ. კრიტიკა და თვითკრიტიკა უნდა იყოს მუდმივ მოქმედი იარაღი, რომელიც მიმართულია მთელი ჩვენი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პოლიტიკურ აღზრდაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ სოციალისტური წარმოების ზრდის ახალი წყაროები და ამით დავაჩქაროთ ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

...მოსავლეთ ოლქებს შორის, დასავლეთ გერმანიაში მრეწველობის მხოლოდ იმ დარგების განვითარება, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო წარმოებასთან.

ამის სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკა საბჭოთა მთავრობისა, რომელიც მოითხოვს, რომ ხორციელდებოდეს პოტსდამის შეთანხმება, რომელიც...

...ლებისადმი მკაცრი საერთაშორისო კონტროლი; ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის დაიდოს მშვიდობის განმტკიცების პაქტი და მათი შეიარაღებული ძალები წლის განმავლობაში შემცირდეს მესამედით, ამასთან შემდეგშიც გრძელდებოდეს მათი შემცირება.

თითქოს სულ უბრალო საქმეა მიიღონ საბჭოთა მთავრობის ეს სამშვიდობო წინადადებანი და ამრიგად შეამოწ...

II

საბჭოთა კავშირი და ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის მთელ მსოფლიოში

ახორციელებს რა სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ამოცანებს, საბჭოთა კავშირი მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის, ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა კავშირის მხარდამხარ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლას ეწევიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები — ალბანეთი, ბულგა...

...მშვიდობის საქმისათვის ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც ამხანაგი მაო ძე-დუნი მეთაურობს, აქტიურად იბრძვის დიდი ჩინელი ხალხი. (ხანგრძლივი ტაში).

მშვიდობის ბანაკში მტკიცედ დგას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მშვიდობის საქმისათვის, თავისი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის განმათავისუფლებელ ომს აწარმოებს გმირი კორეელი ხალხი. (ხანგრძლივი ტაში).

ყველა ეს ხალხი მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს წარმოადგენს.

ამხანაგ სტალინს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ეკონომიური სისტემებისა და იდეოლოგიების განსხვავება არ გამორიცხავს თანამშრომლობასა და ნორმალურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, კერძოდ, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შო...

...კორეაში ამბების დაწყებისთანავე მტკიცედ მოითხოვდა კონფლიქტის მოწესრიგებას მშვიდობიანი საშუალებებით. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობა წინადადებას აყენებდა დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო საომარი მოქმედება კორეაში, ამავე დროს გამოყვანილი ყოფილიყო იქიდან უცხოეთის მთელი ჯარები და ამით საშუალება მისცემო...

...ოევლად.

მაგრამ ამერიკის მთავრობა, რომელიც აშკარა აგრესიის გზას დაადგა, უარყოფდა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისაკენ მიმართულ ყველა წინადადებას. ამ მაგალითით ყველა ქვეყნის ხალხებმა ნათლად დაინახეს, თუ ვინ ემხრობა მშვიდობას და ვინ — ახალ ომს.

ყველა წარუმატებლობისა და მძიმე დამარცხების შემდეგ, რაც ამერიკის სამხედრო სარდლობამ განიცადა კორეაში თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამერიკელებმა კორეაში ომისათვის თავი მოუყარეს შორეულ აღმოსავლეთში მყოფ თითქმის მთელ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს. რაკი მარტო თავიანთი ძალების იმედი არ ჰქონდათ, ამერიკელებმა ოპერაციებში დაიხმარეს ინგლისისა და სხვა ქვეყნების ჯარები. ინტერვენტებმა მოახერხეს მიეღწიათ ერთგვარი სამხედრო წარმატებისათვის მხოლოდ იმით, რომ მოქმედებდნენ დი...

...მილიონიანი მასები სხვა ქვეყნებშიც. სტოკჰოლმის მოწოდებას ხმა მისცა და ხელი მოაწერა ჩინეთში 204 მილიონმა კაცმა, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ალბანეთში — 50 მილიონზე მეტმა კაცმა, იაპონიაში, კორეაში, ინგლისში, არგენტინაში და სხვა ქვეყნებში — 50 მილიონმა, გერმანიაში — 20 მილიონზე მეტმა, საფრანგეთში — 15 მილიონმა, იტალიაში — 16 მი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში 1950 წლის 6 ნოემბერს. პრეზიდიუმში არიან (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ქ. ჰიჰინაძე, გენერალ-მაიორი რომანოვი, ქ. ციმაკურიძე, მ. ბარამია, გ. კარანაძე, არმიის გენერალი ანტონოვი, ვ. ბაქრაძე, ნ. რუხაძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, ე. ჩერქეზია, გენერალ-მაიორი ეფიმოვი, გ. ზამბახიძე, მ. ლელაშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, გ. კიკნაძე და სხვები. ტრიბუნაზეა ამხ. რ. შადური.

ფოტო ელ. გინზბურგისა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი

ნ. ა. ბულგანინის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1950 წლის 6 ნოემბერს

(დასასრული)

ლიონმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2,5 მილიონმა კაცმა. დღეისათვის სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებას ხელი მოაწერა სულ 500 მილიონამდე კაცმა. (ტაში). ეს სერიოზული ძალაა და მრისხანე გაფრთხილებაა ომის გამჩაღებელთათვის.

მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხები დარწმუნებული არიან თავიანთი საქმის გამარჯვებაში. ისინი ჩაფუშავენ ომის გამჩაღებელთა გეგმებს.

* * *

ამხანაგებო!

დიდი წარმატებანი, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ ომისშემდგომ დროში მოიპოვა, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომისა და კომუნისტური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგია.

პარტიის მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი როლი გამოხატულებას პოულობს ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ომის დამთავრების შემდეგ პარტიამ საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი წარმართა მეურნეობის აღდგენისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. პარტიის მოწოდებით ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. პარტიამ უზრუნველყო საბჭოთა ადამიანების კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა. პარტიის დროშით უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განვითარდა და განმტკიცდა ხალხთა სტალინური მეგობრობა. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში გაიზარდნენ პარტიის მიერ აღზრდილ და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით შეიარაღებულ მუშაკთა ახალი მრავალრიცხოვანი კადრები.

ჩვენი კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა ცხადყოფს, რომ იგი ყველაფერზე მაღლა აყენებს ხალხის ინტერესებს და უნაროანად იბრძვის მათთვის. სამშობლოსა და ხალხისადმი თავისი სამსახურით პარტიამ საბჭოთა ადამიანების სიყვარული და სრული ნდობა მოიხვეჭა. (მქუხარე ტაში).

ეს არის საბჭოთა კავშირის ძლიერების წყარო. (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უძლეველ დროშას! (ტაში).

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად: „დიდ სტალინს — დიდება!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორს დიდ სტალინს!").

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური ურთიერთობისათვის

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან მოსკოვში შემდგარი მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 3 ნოემბერს ხელმოწერილ იქნა ხუთწლიანი ეკონომიური შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და გაფართოებას.

მისწრაფვიან რა ურთიერთ ვაჭრობის შემდგომი განვითარებისადმი, მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთ საქონელბრუნვის მნიშვნელოვან გადიდებაზე 1951-1955 წლების პერიოდისათვის.

საშუალო წლიური საქონელბრუნვა მომავალ ხუთწლედში 50 პროცენტზე მეტით გადააჭარბებს 1948-1950 წლების საშუალო წლიურ საქონელბრუნვას.

ამა წლის 4 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია საგარეო ვაჭრობის მინისტრის ბ-ნ ა. გრეგორის მეთაურობით მოსკოვიდან წავიდა.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ამხ. ალავერდაშვილი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაზიაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ნოემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დათესონ 3.000 ჰექტარი ხორბალი, მზრალად ხვნის გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე — 20 ნოემბრისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი

საზეიმო სხდომა რუსთაველის თეატრში

გუშინ დილიდანვე სადღესასწაულო ელფერი მიიღო საბჭოთა საქართველოს დედაქალაქმა — თბილისმა. ქუჩები და მოედნები ლამაზად მოირთო. შენობათა ფასადები დაამშვენეს დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის, მათი თანამებრძოლების პორტრეტებმა, წითელმა დროშებმა. წითელ არშიებზე ელვარებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი..

საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრის დარბაზში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის საუკეთესო ადამიანები — საწარმოთა წარჩინებული სტახანოველები და ინჟინრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

საღამოს 7 საათია. ფარდა იხდება. საზეიმოდ მორთული სცენის სიღრმეში მოჩანს ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის დიდი პორტრეტი. ცოცხალი ყვავილებით შემკულ კვარცხლბეკზე დგას საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიუსტი.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ზ. ჩხუბიანიშვილი, მ. ბარამია, რ. შადური, ვ. ცხოვრებაშვილი, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, მ. ლელაშვილი, არმიის გენერალი ა. ანტონოვი, ქ. ციმაკურიძე, ნ. რუხაძე, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მინისტრები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომას ხსნის ამხ. მ. ლელაშვილი.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა პარტიის სტალინის რაიკომის მდივანს ამხ. გ. ცქიტიშვილს.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — დღევანდელი ჩვენი საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი სტალინი...

დარბაზში ქუხს ოვაცია ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დიდ სტალინთან ერთად საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი და კ. ნ. ჩარკვიანი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. რ. შადურს.

მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით განვლილ დიად გამარჯვებათა სახელოვან გზაზე. იგი დაწვრილებით აშუქებს იმ წარმატებებს, რაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს დიდი ოქტომბრის 33-ე წლისთავისათვის.

თავისი მოხსენების ბოლო ნაწილში მომხსენებელი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის შემდგომ განმტკიცებაზე, ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა აგრესიული გეგმების ჩაშლის აუცილებლობაზე.

— მშვიდობისათვის მებრძოლთა ბანაკი მძლავრი საბჭოთა კავშირის მეთაურობით უძლეველია! — აცხადებს დასასრულ მომხსენებელი. — ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავდადებით იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, დიდი სტალინის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც არ დაზოგავენ თავიანთ ძალღონეს ლენინ-სტალინის პარტიის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

მომხსენებელი დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ სტალინს.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დიდხანს არ ცხრება ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად.

საზეიმო სხდომა ხანგრძლივი ტაშის გრიალში იღებს მისალმებას დიდი სტალინისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა ამხ. გ. ზამბახიძემ.

* * *

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი თბილისის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით.

ჩინეთის დემოკრატიული პარტიების ერთობლივი განცხადება

პეკინი, 4 ნოემბერი. (სახდეხი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს ჩინეთის დემოკრატიული პარტიების ერთობლივ განცხადებას, რომელიც დღეს გამოქვეყნდა. განცხადებაში ნათქვამია:

იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედება, რომლებსაც სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები უდგას, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთის უშიშროებისათვის. მთელი ჩინელი ხალხი ყურადღებით ადევნებს თვალს შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას კორეაში, აგრეთვე აგრესიულ აქტებს, რაც გამოიხატა ჩინეთის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საზღვრების დარღვევით.

იმპერიალისტთა აგრესიულ მისწრაფებებს საზღვარი არა აქვთ. მიმდინარე წლის 25 ივნისს ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს აგრესიული ომი კორეაში. მათ განზრახული აქვთ არა მარტო მოსპონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, მათ სურთ მოახდინონ კორეის ანექსია, შემოიჭრან ჩინეთში, დაამყარონ თავიანთი ბატონობა აზიაში და დაიპყრონ მთელი მსოფლიო.

ამას უდავოდ ამტკიცებს ფაქტები. როცა შეერთებულმა შტატებმა კორეელ მარიონეტლი სინ მანს უბრძანეს გაეჩაღებინა ომი კორეელი ხალხის წინააღმდეგ, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა დაუყოვნებლივ უბრძანა ამერიკის არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და სამხედრო-საჰაერო ძალებს დაეწყოთ ომი კორეაში. მან იმავე დროს უბრძანა ამერიკის მე-7 ფლოტს შემოჭრილიყო ჩინეთის წყლებში ტაივანთან და დაეწყო შეიარაღებული მოქმედება, რათა ხელი შეეშალა ტაივანის განთავისუფლებისათვის. ამავე დროს ტრუმენმა ბრძანება გასცა გაეფართოებინათ აგრესია ვიეტნამში და ფილიპინებზე. ფაქტები მოწმობს, რომ ამერიკელ იმპერიალისტებს, რომლებმაც კორეაში აგრესიული მოქმედება დაიწყეს, მიზნად აქვთ ჩინეთის და მთელი აზიის დაპყრობა.

იმ მომენტიდან, როცა მიმდინარე წლის ივნისში ამერიკელმა იმპერიალისტებმა კორეაში ომი დაიწყეს, სამხედრო-საჰაერო ძალები, რომლებსაც ისინი იყენებენ თავიანთი აგრესიული მოქმედებისათვის კორეაში, არაერთგზის შემოიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთის საჰაერო სივრცეებში, ხოცავდნენ ჩინელ მოქალაქეებს და სპობდნენ ჩინეთის ქონებას. კორეაში მოქმედმა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სროლა აუტეხა შუა ზღვაში მიმავალ ჩინეთის სავაჭრო გემს და ჩინეთის ნაოსნობის უფლებები დაარღვია.

ამასწინანდელმა ამბებმა უფრო ნათლად ამხილეს ამერიკის იმპერიალიზმის საზიზღარი სახიათი. ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ ხელშემწყობთა შეიარაღებულმა ძალებმა, სეული რომ დაიპყრეს, უგულებელყვეს ჩინეთის გაფრთხილება, გადასცილდნენ 38-ე პარალელს კორეაში და სახმელეთო ჯარების უდიდესი ძალებით დაიძრნენ მდინარეების იალუძიანისა და ტუმინძიანის მიმართულებით, რითაც უშუალოდ დაემუქრნენ ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებს.

მდგომარეობა სავსებით ნათელია. ამერიკელი იმპერიალისტები იმეორებენ იაპონელი ბანდიტების ძველ ხრიკს, რომლებიც ჯერ კორეაში შეიჭრნენ, შემდეგ კი ჩინეთში. ყველასათვის ცნობილია, რომ კორეა თუმცა მცირე ქვეყანაა, მაგრამ მას მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს. კორეაში ამერიკელთა აგრესიის, ისევე როგორც წარსულში იაპონელ იმპერიალისტთა აგრესიის, მთავარი მიზანია არა კორეა, არამედ ჩინეთი. ისტორია გვიჩვენებს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული. ერთი სახელმწიფო თავს ვერ დაიცავს მეორის დაუხმარებლად.

ჩინელი ხალხი არა მარტო თავისი მორალური მოვალეობის გამო უნდა დაეხმაროს კორეელ ხალხს მის ბრძოლაში ამერიკის წინააღმდეგ. კორეისათვის დახმარების გაწევა შეესაბამება აგრეთვე მთელი ჩინელი ხალხის ინტერესებს და თავდაცვის საჭიროებით არის გამოწვეული. მეზობლის გადარჩენა საკუთარი თავის გადარჩენას ნიშნავს, ჩვენი სამშობლო რომ დავიცვათ, ამისათვის უნდა დავეხმაროთ კორეელ ხალხს.

მთელი ჩინელი ხალხი გამსჭვალულია სურვილით წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკის აგრესიას, დაეხმაროს კორეას და დაიცვას თავისი სახლები და თავისი სამშობლო. ეს გონივრული და სამართლიანი მოთხოვნაა.

როგორც პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, „ჩინელი ხალხი ვერ მოითმენს უცხოეთის აგრესიას და გულგრილად ვერ მოეკიდება თავისი მეზობლების ბედს, რომლებმაც იმპერიალისტთა მხრივ აგრესია განიცადეს". ეს სიტყვები ნათქვამია 475-მილიონიანი ჩინელი ხალხის სახელით, ისინი ასახავენ ხალხის ნებას და გამოხატავენ მის მოთხოვნას. ჩინელი ხალხის რევოლუციური მისწრაფებას — ერთსულოვნად დარაზმოს თავისი სახლების, სამშობლოს და მშვიდობის დასაცავად — ვერაფერი ვერ გატეხს.

ჩინელ ხალხს მხურვალედ უყვარს მშვიდობა. ჩვენ ყოველთვის გვიყვარდა მშვიდობა და გვეყვარება მშვიდობა. ჩვენ გვიყვარს მშვიდობა ჩინეთში, აზიაში, ჩვენ გვსურს მტკიცე მშვიდობა მთელი მსოფლიოსათვის, მთელი კაცობრიობისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ კორეის საკითხი გადაჭრილ უნდა იქნას მშვიდობიანი გზით, და რომ იმპერიალისტთა აგრესიული ჯარები გაყვანილ უნდა იქნან კორეიდან. მაგრამ ამერიკელ იმპერიალისტებს და მათ ხელშემწყობთ არათუ არ სურთ გაიყვანონ აგრესიული ძალები, შეწყვიტონ აგრესიული ომი და მშვიდობიანი გზით გადაჭრან კორეის საკითხი, არამედ, პირიქით, გააფთრებით გადმოიტანეს აგრესიული ომი ალი 38-ე პარალელს აქეთ ჩინეთის საზღვრისაკენ — მდინარეების იალუძიანისა და ტუმინძიანისაკენ. ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ თუ მშვიდობისმოყვარე ყველა ადამიანს სურს ჰქონდეს მშვიდობა, მათ აქტიურად უნდა იმოქმედონ იმისათვის, რომ წინააღუდგნენ ბოროტებას და ბოლო მოუღონ აგრესიას. მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევით შეიძლება მიეცეს გაკვეთილი იმპერიალისტებს და სამართლიანად გადაიჭრას კორეისა და სხვა რაიონების დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საკითხი ხალხთა ნება-სურვილის მიხედვით. სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა, ჩინეთის, კორეის, ვიეტნამის და ფილიპინების ხალხთა მხარეზეა, მთელი აზიის ხალხთა მხარეზეა, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხარეზეა. იმპერიალისტი აგრესორები არღვევენ სამართლიანობას, კარგავენ ხალხთა სიმპათიას და თვითონ იღუპავენ თავს. აგრესორები აუცილებლად დამარცხდებიან საბოლოოდ, ხოლო საბოლოო გამარჯვება, უეჭველია, დარჩება ხალხს, რომლის მხარეზეც სამართლიანობაა.

ჩინეთის ყველა დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ ისინი მთელი თავიანთი ძალღონით დაუჭერენ მხარს მთელი ქვეყნის ხალხის სამართლიან მოთხოვნას და მხარს დაუჭერენ მთელ ჩინელ ხალხს, რომელმაც ნებაყოფლობით იკისრა წმიდა ამოცანა — წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკას, დაეხმაროს კორეას, დაიცვას თავისი სახლები, დაიცვას თავისი ქვეყანა.

ჩინეთის კომუნისტური პარტია, ჩინეთის გომინდანის რევოლუციური კომიტეტი, ჩინეთის დემოკრატიული ლიგა, ეროვნული რეკონსტრუქციის დემოკრატიული ასოციაცია, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს უპარტიო დელეგატები, დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი ასოციაცია, ჩინეთის მუშათა და გლეხთა დემოკრატიული პარტია, პარტია „ძიგუნი", საზოგადოება „ძიუსანი", ტაივანის დემოკრატიული თვითმმართველობის ლიგა, ჩინეთის ახალგაზრდობის ახალი დემოკრატიული კავშირი.

1950 წლის 4 ნოემბერი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05435